



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030155215409621

№ 01-340/ო

30 / აგვისტო / 2021 წ.

„ჯანმრთელ პირთა (15-65) და ახალი პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლი) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 16 აგვისტოს №254/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

**მუხლი 1.** „ჯანმრთელ პირთა (15-65) და ახალი პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლი) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 16 აგვისტოს №254/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება:

#### 1. ბ რ ძ ა ნ ე ბ ის:

##### ა) პ რ ე ა მ ბ უ ლ ა ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ დ ე ს შ ე მ დ ე ვ ი რ ე დ ა ქ ც ი თ:

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ<sup>1</sup>“ და „კ<sup>2</sup>“ ქვეპუნქტების, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის № 473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:“;

##### ბ) პ ი რ ვ ე ლ ი პ უ ნ ქ ტ ი თ დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი „ბ“ ქ ვ ე პ უ ნ ქ ტ ი ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ დ ე ს შ ე მ დ ე ვ ი რ ე დ ა ქ ც ი თ:

„ბ) 18-65 წლის ჯანმრთელი და ახალი პაციენტის შემოწმება პირველად ჯანდაცვაში“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) (დანართი №2).“.

2. ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი დ ა ნ ა რ თ ი № 2 („18-65 წლის ჯანმრთელი და ახალი პაციენტის შემოწმება პირველად ჯანდაცვაში“) - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

#### მუხლი 2. ბ რ ძ ა ნ ე ბ ა ძ ა ლ ა შ ი ა ხ ე ლ მ ო წ ე რ ის თ ა ნ ა ვ ე.

საქართველოს ოკუპირებული  
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრი

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე

